სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 58

2023 წლის 19 აპრილი

ქ. თბილისი

„2023 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 მარტის N21 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (N429087, 19.04.2023წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2023 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 მარტის N21 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2023 წლის 7 მარტიდან 2023 წლის 26 აპრილის 16:00 საათამდე;

ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2023 წლის 3 მაისის 16:00 საათამდე."

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი